

# მართიანი ივანეს ძის ხელამის

— სტამბის —

30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო

ისტორიული მიმოხილვა

გ. ჭ ი ჭ ი ნ ს შ ი ს ს.

მოლოდინი

წერილები და დეპეშები

იუბილების სურათით

გამოცემული ზ. კიშინაძისაგან


— ლ ი დ ი ლ ი დ ი ლ ი —

თბილისი

სტამბა ე. ა. ხელაძისა, რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლი

1902 წ.

ମୁଦ୍ରା ପରିଷଦ୍ ପତ୍ର



# ექვთიმე ივანეს ძის ხელაპის

— ♀ სტამბის ♀ —

30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო

ისტორიული მიმოხილვა

ქ. ვ. ვ. ნ. მ. ი. ს.

თბილისი

წერილები ჩა დებუ შები

გამოცემული ჭ. ჭიჭინაძისაგან



თბილისი


სტამბა ქ. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლი.

1902 წ.

Государственный архив

Дозволено искажуром. Тифлисъ 25 Октября 1902 года.

ДОКУМЕНТЫ



ქართული სტამბის ისტორიიდან

ქართიმე თვანეს მის ხელამის 30 წლის დღესასწაულის დროს გამო.

ქართული სტამბის და ბეჭდვის ისტორია, თუმცა ძველი რამ არ არის, მაგრამ რაც არის და რაც გვაბადია, ჩვენ არც მისი ავკარგიანობისა ვიცით-რა, თითქოს ერთის მხრით მის გაცნობას და ანუსხეას ჩვენ არც კი ვსაჭიროებთ, მაგრამ ეს არ არის ფარსაგრი და სანუკარი, ყოველ ერს აქვს თავის სტამბის ისტორიის ცნობები, მათ უარგად იციან, არა მარტო სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა, არამედ იმ პირთა შრომის დაცხოვრების ცნობებიც, ვისაც კი სასტამბო ას-ჰარეზზედ უღვაწნია. სტამბის და მწიგნობრობის ასპარეზზედ უმთავრესად, თუ ყველგან და ყველასაგან შარტოდ მწერლები, რედაქტორები და გამომცემლები ფასდებიან; ვიტყვით, რომ ამათ გვერდით მდგარათ უნდა გამოცხად დნენ სტამბის ხელოსნები და მუშებიც, რადგანაც ესენი არიან მეორე მხარე რედაქტორ-გამომცემელ-მწერლებისა და რასაც ერთი სწერენ, იმას მეორენი ხორცის ასხენ და სპეციალისტების ასულმეტყველებენ.

ამიტომ ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია, რათა ყოველ ჩვენს სასტამბო და სამწერლო ხელოსან - მუშაქ მოღვაწეობის

ცნობანიც ავნუსხოთ, ამომწყობი იქნება, მბეჭდავი თუ განდ  
ხხვა რამ ხელოსანი, ეს ჩვენთვის ორივ ერთია, რადგანაც  
ყველა ამ მუშებს ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ და ნამე-  
ტურ სტამბის წინაშე საკარისი შრომა მიუძღვისთ. სამწუხა-  
რო აქ მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი ძველები არ მისდევ-  
დნენ ასეთ ცნობათ შესწავლას, ხელოსანთ შრომის დაფა-  
სებას, მათს შესახებ მათ სულ არაფერი ცნობები დაგვიტო-  
ვეს, მაგ.: მესტამბე მიქაელზედ, რომანოზ ზუბალაშვილზედ  
და მრავალთაც სხვებზედ. არა თუ ასეთ ძველებზედ, ჩვენ  
არა ვიცით-რა თვით უახლოეს დროის, XIX საუკუნის,  
რუსეთში ყოფილის ამომწყობის სვიმონ მესტამბე ტაბიძის  
შესახებაც კი, რომელიც მუშაობდა აკადემიის სტამბაში და  
რომელმაც ამოაწყო ყველა ქართული სააკადემიო გამოცე-  
მანი. თითქმის ყველა ქართული განსაკვიფრებელნი შრომა-  
ნი. ამ უკანასკნელზედ ჩვენ მარტო შემდეგი ვიცით ბროსეს  
სიტყვით:

« სვიმონ მესტამბე ტაბიძე ბეჭდვაზედ იურ მცდელია;  
დაჭმეჭმელი წიგნი აწ ასლად, განსხვლა ძველის-ძველია! »

ასევე არა ვიცით-რა 1820, 30 და 50 წლების ქართულ  
სტამბათ ამომწყობთა და მბეჭდავთ ცნობებიდგან. ასეთ საქმე-  
თა და პირთა ცხოვრების ცნობანი ჩვენში უძველეს დროიდამ  
იწყება, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს თითქმის ესეც უცნობია  
ჩვენთვის, სრულიად მქრალი. ეხლა ჩვენ აქ შეჯებით, ერ-  
თის ასეთის მშრომელის ცნობათა განმარტვას და იმედია;  
რომ ეს ანუსხვა თავისებურს მნიშვნელობას იქონიებს ჩვე-  
ნის ბეჭდვის ისტორიის ასპარეზზედ. ეს პირი, სახელ-  
დობრ არის მესტამბე ექვთიმე ივანეს ძე ხელაძე, რომლის  
ოცდა ათი წლის სასტამბო მოღვაწეობის იუბილე იქმნა გარ-  
დახდილ, ამ 1902 წლის ივნისის 29-ს, ამ, კუცის ცხოვრება,

ფეხის ადგმა, ახალგაზღობა და დაბერებაც მჭიდროდ არის შეკავშირებული ქართული სტამბის აღორძინების საქმესთან და მის ისტორიასთან, რომლის უახლოესი დროც 1860 წლების შემდეგიდამ იწყება.

ექვთიმე ივანეს ძე დაიბადა 1846 წ. მამა ამისი ივანე იყო მღვდელი, იგი სკხოვრებდა გურიის ერთს სოფელ მამათს. 13 წლის ექვთიმე მიბარებულ იქმნა ჯუმათის მონასტერში, საღაც სწავლობდა ქართულ საეკლესიო წიგნების კითხვას. 1859 წ. მონასტრის სკოლიდამ ოზურგეთის ორ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. 1863 წ. დაასრულა ორ-კლასიანი სასწავლებელი და 1864 წ. გადაყვანილ იქმნა ქ. ქუთაისის ოთხ-კლასიან სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ზედამხედველათ იმყოფებოდა იმ დროს ცნობილი და ღვაწლ-დებული მოღვაწე გერასიმე კალანდარაშვილი, რომელიც მოწაფეებზედ დიდათ მოქმედებდა, მოზარდ ბავშვებს უხსნიდა სხვა-და-სხვა რთულ საგნებს მარტივად და ასეთ კითხვათა გარეშე აცნობებდა ოვით ახლად დაბეჭდილ ქართულ უურნალ-გაზეთებსაც და მასთან ბეჭდვის ცნობასაც უმარტავდა, რასაც მოწაფე ექვთიმეზედ მეტად დიდი ზეგავლენა ჰქონია. ბეჭდვის სიყვარული ექვთიმეს სკოლის სკამზედ ყოფნის დროს ჩანერგია გვამში. გერასიმე კალანდარაშვილი იქამდე აღმატებულის თვისებისა ყოფილა, რომ იგი 1866 წ. სკოლის მოწაფეებს კარგად აცნობებდა ოვით გაზეთ „დროების“ ნოპრებსაც, რომლის გამოცემაც 1865 წ. მარტის პირველიდგინ იქმნა დაწყობილი. „დროების“ პირველ ნახვის უმაღვე აღტაცებულა ექვთიმე ხელაძე და გულში გაღვიძებია სტამბის ნახვა, გაცნობა, შესწავლა. 1866 წლის შუა რიცხვს, 29 აგვისტოს მოწმობა აიღო და ქუთაისიდამ ტფილის გამოემგზავრა ფურგუნით, რათა სტამბაში შესულიც მოწაფედ და მეცხრე დღეს ქუთაისიდამ ტფილის ჩამოსულა კიდეც.

ამ დროს, ქ. ტფილისში სულ ექვსი სტამბა იყო და მათ

შორის ერთი „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერძეს ელაბისა. პირველადვე ექვთიმე ხელაძემ ივანე კერძეს ელიძეს მიმართა და სთხოვა მოწაფედ მიღება. ივანე კერძეს ელიძემ სია-მოვნებით მიიღო და მაშინათვე მიუჩინა საქმე. 11 თვის გან-მავლობაში ექვთ. ხელაძემ სტამბის ხელობა ისე შეისწავლა, რომ მას თავისუფლად შეეძლო დაეკავა ადგილი თვით იმ დროის ერთის სტამბის გამგის, მაჭავარიანისა, რომელსაც წელიწადში 500 მან. ჯამაგირი ჰქონდა. სტამბაში მეტად ხელ-მარჯვე ხელობის მცოდნეთ აღმოჩნდა, ქართული კით-ხვის კარგად მცოდნეთ, მუყაით ამომწყობლათ და მხეტდავა-თაც. ასეთის სიყოჩალის და მუყაითობის გამო ექვთიმე ხელა-ძე ივანე კერძეს ელიძეს დიდათ შეუუყარდა, ექვთიმე სტამბაში მას ყველა საქმეს უკეთებდა, აწყობდა, ბეჭდავდა და „ცის-კრის“ ხელისმომწერთაც ურიგებდა, რაღანაც ივ. კერძეს ე-ლიძეს ხშირად შეუძლებლობის გამო თვით „ცისკრის“ და-მტარებელიც არ ჰყავდა. ერთაღ-ერთს ერთგულ გულშემა-ტკივარ პირად ეს ირკცხებოდა, ამ დროს „ცისკარს“ და მის დამატებას „გუთნის დედას“ საქმარისი განსაცდელი მიაღვა კარს. იმ დროის ქართველ მყითხველ საზოგადოების ნაწილი ძრიელ მცირე რიცხვისაგან შესდგებოდა. გაზეთ „დროების“ გამოცემაშ „ცისკარს“ საქმე შეუფერხა, ხელის-მომწერლები ისე მოაკლდა და, თვით „გუთნის დედაც“ ისე შეწუხდა, რომ თუ არ ასეთი პირობები სტამბაში ხელოსნის შხრით, უამისოთ იგინი ერთობ აღრევე მოისპობოდნენ, ვერ შეს-ძლებდნენ გამოცემას, რაღანაც შემოსავალი მარტო ბეჭდვა-საც არ ჰყოფნიდა. ასეთ გარემოებაში მყოფ გამოცემათ და მთლათ ივანე კერძეს ელიძეს საქმეებს უანგაროთ ეხმარებოდა ექვთიმე ხელაძე. ივანე კერძეს ელიძე ისე აფასებდა ექვთიმეს შრომას და ისე პატივს სცემდა, რომ ამის გამო 1869 წ. მან ერთს თავის ნათესავს, საგინოვის ქალზედ ჯვარიც დასწერა. ამ ქალის ხელში ექვთიმემ სამღვდელოთ მომზადება დაიწყო, მას ამზადებდა კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიის დეკანოზი იმ-ნაბე. 1870 წ. ექვთიმეს მეუღლე გარდაეცვალა და რაკი

ასეთ შემთხვევის შემდეგ მღვდლათ კურთხევა კანონით აღარ შეიძლებოდა, ამიტომ მის ძებნას იგი სამუდამოთ გამოეთხოვა და ისევ თავის ხელობის საქმეს დაადგა.

ამავ წელს, ეს შევიდა ცნობილ სტეფ. მელიქიშვილის და ამხანაგობის სტამბაში და გაზეთ „დროების“ წყობა დაიწყო. იმ დროს „დროება“ ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა, მის ერთგულ თანამშრომლად ირიცხებოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი და ზოგიც სხვანი, იმ დროის გამოჩენილი მწერლები. ყველა ამ პირებთან ექვთიმეს დაახლოვებული განწყობილება ჰქონდა, მათგან სრული პატივისცემა დაიმსახურა და ესეც პატივისცემით ემსახურებოდა. ამ დროს სტეფ. მელიქიშვილის სტამბაში დაიწყეს ბეჭდვა გაბრიელ ეპისკოპოზის „ქადაგებებისა“, რომელიც ექვთიმემ ამოაწყო და ამასთან სხვაც ბევრი ქართული წიგნები. ყველა ამოსაწყობს ეს ისე იაფად იღებდა, რომ მის ფასის მოგონება და შედარება დღევანდელ ფასებთან ერთობ შორი-შორს იქმნება, შედარება არ შეიძლება. მაშინდელი 13 მ. ამოსაწყობ-გასაკეთებელი დღეს 30 მ. ჯდება, ასე შეიცვალა გარემოება. იმავე წლის ბოლოს, გ. წერეთელმა იჯარით აილო დუბელირის სტამბა, მელიქიშვილის სტამბიდამ იქ გადიტანეს გაზეთი „დროება“, ახლად დაარსებული „სასოფლო გაზეთი“ და ამათ 1871 წ. „კრებულიც“ მოჰყა. ყველა ამ გამოცემებს და უურნალ „მნათობსაც“ ექვ. ხელაძე აწყობდა, ყველას იგი უძლვებოდა წინა და-თან ერთგულის გამგეობით სასტამბო საქმესაც ანფითარებდა. სტამბის საქმესა და ამოწყობაში მონაწილეობას იღებდნენ და ეხმარებოდნენ ბ. ნ. ნიკოლაძე და პ. იზმაილოვი, ამათ გარდა სტამბაში იარებოდნენ იმ დროის სომეხთ ცნობილ პირთაგანნი გ. სუნდუკიანცი, შავერდოვი, „მშაკის“ რედაქტორი გრიგურ არწრუნი, ჩიმიშკიანი და მრავალნიც ქართველნი, რომელნიც შეერთებულის უღლით მოქმედებდნენ, მაშინ ქართულ-სომხური წიგნები ერთ სტამბაში იბეჭდებოდა.

ექ. ხელაძემ 1871 წ. მეორე ცოლზედ იქმნა ჯვარ-და-

წერილი. მეჯვარედ ს. მგსხი იყო. ამ ქალისაგან მიეცა შვილები, ექვთიშეს სიძეა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ლალიანი, რომელმაც არა ერთის მოთხრობით მისპყრო ჩვენი მწერლობის ყურადღება.

თუმცა ექვთიმე ხელაძე „კისკრის“ რედაქტორს გაუშორდა და სხვაგან მუშაობდა, მაგრამ მას იმდენად ახსოვდა ივ. კერესელიძის ამაგი, რომ მუდამ ენატრებოდა ის ერთად-ერთი ძველი ქართული უურნალი არ დახურულიყო, არ მოსპობილიყო. ამ დროს ივანე კერესელიძე „კისკრის“ საბეჭდათ ძველად შეძენილი პატარა სტამბა ჰქონდა, მაგრამ სილარიბის გამო სტამბას ვერ უძლვებოდა, მეტი გზა არ იყო, სხვა ვინმე უნდა ენახა სტამბის გამგეთ. ივ. კერესელიძე და ექ. ხელაძე მალე შეთანხმდნენ და 1872 წ. ექვთ. ხელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა საკუთარი სტამბის გახსნის შესახებ. 24 ივნისს 1872 წ. გუბერნატორისაგან ნება-რთვა აიღო. მალე გახსნა სტამბა ქ. ტფილისში, იარმუკაზედ, ერთ უბრალო ოთახში და ივ. კერესელიძის ერთი ძველი დაზგა (სტანციკ) და სხვა სასტამბო იარაღიც გადიტანა ახალ სტამბაში და იქ მოათავსა.

მალე „კისკრის“ აწყობაც დაიწყეს. ამ სტამბის გახსნას იმ დროის ქართველობა მეტად სიამოვნების თვალით მიეგება, რადგანაც სტეფ. მელიქისშვილის სტამბა ქართულ საბეჭდ საქმეებს ვერ ასდიოდა და სხვა სტამბა კი არსად იყო. ექ. ხელაძის სტამბაში მუდმივათ იწყეს სიარული. პატივცემულმა ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც შემდეგ დროს ამ სტამბაში გაზეთ „გუთნის დედის“ გამოცემაც განაახლა, დაიარებოდა აგრეთვე პეტრე უმიკაშვილი, გ. წერეთელი და მრავალნიც სხვანი, იმ დროის ქართველობ მწიგნობარნი და ცნობილნი გვამნი. დრო ისეთი იყო, რომ ქართველნი სასტამბო საქმეებს ახლად ეწყობოდნენ და ამიტომ ყოველი საქმეც დიდათ უძნელდებოდათ, ხანდისხან თვით მწერლებიც კი მთელს ღამეებსაც ატარებდნენ სტამბაში, ნამეტურ გა-

ზეთ „დროების“ გამოცემის დროს, რაც პატივცემულმა ნიკოლოზ ლოლობერიძემაც დაასაბუთა, რომ „დროების“ გამოცემის კამი ჩვენ კვირაზი ერთს ღამეს სტამბაში ვათენებდითო. ცხადია, რომ რაკი გაზეთის თანამშრომლები ათენებდნენ სტამბაში ღამეს, ამამწყობნი და მბეჭდავნიც იქ იქნებოდნენ და ამათ უფრო მეტი ჭაპანი ექმნებოდათ გასაწევი.

თუმცა პატარა სტამბა იყო ექვთიმე ივანეს ძის ხელაძის სტამბა, მაგრამ საკუთარი სტამბის შეძენის მეოხებით ექვთიმე ხელაძისათვის დადგა ახალი ხანა სასტამბო საქმის ასპარეზზედ მოქმედებისა. როგორც ვსთქვით და ეს სხვაგანაც გვითქვამს \*), ექვთიმე ხელაძემ სტამბის საქმეებში საქმარისი ენერგია გამოიჩინა. ეს ცოტა, მან ეს არ იკარა. მან სტამბას მიაჩვია ქართველთა შვილები, თორემ მინამდე ქართველები ახლოსაც არ ეკარებოდნენ სასტამბო საქმეებს, ბაყლობას, კინტოობას და მენაბშირეობას მისდევდნენ და სტამბას კი ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ამისათვის ექ. ხელაძემ დაიწყო გურულიდამ გურული ბიჭების ჩამოყვანა და შეგირდათ აყვანა სტამბაში. სამი წლის განმავლობაში სტამბა ამან გურულის წერე-კითხვის მცირდნე შაგირდებით გადვსო. მათ ერთგულათ დაწყებინა ხელობის შესწავლა, მაგალითებრ, ასეთები არან: იოსებ ხელაძე, ივანე კილაძე, ლუარსაბ ხელაძე, დიომილე კილაძე, რომლის 30 წლის ასოთ-ამოწყობა ქართულ წიგნთა გამომცემელ ამხანაგობამაც იდლესასწაულა. პლატონ გოგვაძე, გ. მახარაძე, დომეტი შარაშანიძე და მრავალიც სხვანი, ენით მოუთვლელნი. ჩვენ აქ ყველა ხელოსნებს არ ვასახელებთ, მოვიხსენეთ მხოლოდ ზოგიერთი უცუცესი პირები და ისინი, რომელთაც შემდეგ თავიც ისახელეს. აქ მოთვლილებში რამდენსამეს თბილისა და იმერეთს სტამბებიც აქვსთ დახსნილი და იგინი თავიანთ შეძლების და გვარათაც მოქმედებენ, ქართულ საქმეებს დროის შესაფერათ უძლვებიან, ზოგიერთს მთელის ოცის წლობით უმუშავნიათ

\*). „ისტორია ქართულის სტამბებისა“, გამოცემა 1900 წ.

ქართულს გაზეთებზედ, ეს ზოგ ალაგას დღესაც ისევეა, ყველა ვრცელი დიდრონი წიგნები მთლათ ამ პირებისაგან ამოაშევეს და დაბეჭდეს, ყველა საქმეს ესენი უელვებდნენ და ამის გარდა სტამბის მოწაფეებსაც ამრავლებდნენ. უნდა ითქვას, რომ ყველა იგინი კი ექვთიმე იქანეს ძის ხელაძის მოწაფეთ ითვლებოდნენ და მათ ამისაგან ჰქონდათ ხელობა შესწავლილი, დღეს ეს პირი ცხოვრებით და ხელობით წელში გამართულები არიან და გვარიანათაც სცხოვრებენ. იგინი ითვლებიან პირდაპირ ექ. ხელაძის მოწაფეთ.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ექვთიმე ხელაძეს ბეჭულების ასპარეზზედ საკმარისი შრომა მიუძლვის, მის ცხოვრებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი სტამბის აღორძინების საქმე და მისი წარმატება. უნდა მოგახსენოთ, რომ ოდესმე თუ ქართული სტამბის აღორძინების ისტორია დარწერა, იქ ექვთიმე ხელაძე ისეთსავე საპატიო ადგილს დაიკავებს, როკორც მაგალითებრ მის ღროის პატივცემული ქართველი კათოლიკე მესტამბე სტეფანე მელიქიშვილი, რომელიც აგრეთვე გამომცემელი იყო გაზეთ „დროებისა“ დაარსებილგანვე, მასთანვე სხვათრივაც ამაგდარი და ცნობილი ჩვენი სტამბის ასპარეზზედ. ამ პირმა და მისმა სტამბამაც მეტად დიდი სამსახური გაუწია ქართველობას, მას დიდი ამაგი მიუძლვის ჩვენს მწიგნობრობაზედ. ამ სტამბის შრომასა და განვითარებაზედ დიმ. ბაქრაძესაც დიდი შრომა აქვს დადებული, მასთან ვახტანგ თულიაშვილს, ნიკოლოზ ლოლობერიძეს, გ. წერეთელს და სხვათაც. ს. მელიქისშვილის სტამბის შემდეგ თითქმის მთელს საქართველოში ექვთიმე ხელაძის სტამბა ითვლებოდა ერთად-ერთ სტამბად, სადაც მართლაცა და ქართული წიგნებიც იმავე სიუხვით იბეჭდებოდა, როგორც მელიქისშვილის სტამბაში.

დღეს რომ ასე გამრავლდა ჩვენში სტამბები, ყველა ეს, სულ მომდევანი არიან. მელიქიშვილის და ექვთ. ხელაძის სტამბისა, ამ სტამბათა გამაგრების ნიაღავის და ქართველთ შორის ქართული წიგნების ბეჭდვის განმტკიცების და აღორ-

ძინების „შედეგია. უნდა მოვიხსენოთ, რომ ს. მელიქიშვილის და ექვ. ხელაძის სტამბათა არსებობის საქმეს მეტად დიდი მომავალი მოჰყვა, ბრწყინვალე შედეგი და დიდებით აღსანიშნავი გარემოება, რა გარემოებამაც ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეც ერთი ათად მაღლა ასწია და ააღორძინა. დღეს ქართველი ერის ცხოვრების ასპარეზზედ ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე გაბრწყინვებულია, გამაგრებული, ამ სიმაგრეს და ძლიერებას ცხოველის შუქით და სინათლით ასულ-მეტყველებს და აბრწყინვებს ქართული სტამბა და მისი გამაგრებული ჩარხი, მისი მანქანა, დაზიგა და სხვა იარაღები. მეტად ძნელი საქმე იქნება, რომ მომავალში ან ამ სტამბის ასპარეზი და მისი ძალა და ან ამ სტამბის მექონი ერი და მისი ავკარგიანობა რომელიმე გარემოებამ ანუ პირობებმა ჩანთქას და მიწასთან გაასწოროს, მას ვერავინ მოერევა, ვერავინ შესძლებს მის დაცემას და განაცემურებას, ქართული სტამბის ძლიერება და ძალა არის სახსარი თვით ქართველის ერის, ქართველის გვარის, მის ენის და მწიგნობრობის, განვითარების და მოქალაქობის, წარმატების, გაძლიერების, რომელსაც აღვილათ ვერავითარი მოსავალი ვერ გააქრობს, ვერ აღვის დედამიწის პირიდამ. ასეთია გარემოება ქართული სტამბის, ასეთი პირობები პფლობს მას და ამავე პირობების ზეირთებს და ნაკადულებს შეადგენენ ქართველი მესტამბენი, რომლის წევრათაც ითვლება აქ მოხსენებული ექ. ხელაძე:

ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნა, მისი მოღვაწეობა სტამბის ასპარეზზედ და მოქმედება აღსანიშნავია იმითაც, რომ ამ პირმა თავის პირველის დღიდგანვე სტამბის ხელობის შესწავლის და სტამბის გახსნისათანავე ქართული სახალხო წიგნების ბეჭდვის საქმესაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მან სტამბის გახსნის უმაღვე დაიწყო ქართული სახალხო წიგნების ბეჭდვა და უნდა ითქვას, რომ მესტამბის გარეშე ქართულ წიგნთა გამომცემლის სახელიც დაიმკვიდრა, მისგან იმავ თავითვე დღემდე ძრიელ ბევრი ქართული წიგნებიც გამოცემული ბევრი მისი გამოცემა ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ საყო.

ველოაოდ იქონიებს მნიშვნელობას. ოდესმე ქართული სიტ-  
ყვიერების და მწერლობის ისტორიის დამწერიც მოიხსენებს  
ექ. ხელაძეს, გითარცა ქართულ მესტამბეობასთან ერთად ქარ-  
თულ წიგნების გამომცემლათაც. ექ. ხელაძის გამომცემლობის  
შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან მეტად საჭირო დროს  
დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა, ისეთ დროს, როცა სა-  
ქართველოში ქართველთ შორის წიგნის ბეჭდვა ჭაჭანებათაც  
არ იყო. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართულს ენაზე  
სულ პატარა წიგნაკიც არ იბეჭდებოდა. ასეთ გარემოებაში  
მოთავსებულ ქართველთათვის ექ. ხელაძის სტაშბამ ის გავ-  
ლენაც იქონია, რომ მან თვით ექ. ხელაძის მსგავსად სხვა  
ახალგაზღა ქართველებიც წაახალისა წიგნების ბეჭდვის სა-  
ქმეში, მან ბევრს ქართველს შეაჩვია წიგნების ბეჭდვის საქმე,  
ბევრს გაუადვილა იგი და ბევრი ქართველის გული მორთო  
და შემოსა ქართული წიგნების გამოცემის სურვილით, მის  
გაძლიერებით და აღორძინებით.

წიგნების გამოცემის გარდა, ექ. ხელაძემ, საქართველოს  
დაბასა და სოფლებშიაც პირველად დაიწყო ქართული წიგ-  
ნების ტარება. მაგალითებრ, თბილისიდამ ამან პირველად  
წაიღო გურიაში ქართული წიგნები და დაუწყო ვრცელება,  
თვით საერო ბაზრობაზედაც მიღიოდა, თან წიგნები მიჰქონ-  
და და ჰყიდდა, რაშიაც ჯეროვან დახმარებას აძლევდნენ  
ადგილობრივი ქართველი მოხელენიც, ყველა მოხელე ექვ.  
ხელაძის საქმეს სიამოენებით უმზერდა, მხარს აძლევდნენ,  
რომ გურიაში პეტრე-პავლობას, ნაგომრობას და სხვა დღე-  
სასწაულებშიაც წიგნები ეტარებინა, მისი წარმოება არ მოე-  
სპო. ამ საქმემ გურიაში ნიაღავი იპოვა და ფეხი გაიმაგრა.  
შემდეგ დროებში იქ ექ. ხელაძის გარდა სხვებიც აღმოსჩნ-  
დნენ წიგნების მბეჭდავ-დამტარებელ-გამყიდველ-გამავრცელე-  
ბლებლათ.

უპირველესობა კი ამ პირს ეკუთვნის და მის შრომას.  
აღსანიშნავია, რომ ასეთ დაშორებულს ადგილებში ექვთიმე

ხელაძე ქართულ წიგნებს ხშირად მუქთათაც არიგებდა. აქა-იქ სამკითხველოებს და სკოლებსაც მრავლად და კარგა რიცხვს ქართულ წიგნებსაც სწირავდა. იმერეთს გარდა ქარ-თული წიგნების ტარება ტფილისის ახლო-მახლო სოფლებ-შიაც დაიწყო, როცა კი სადმე დღეობა იქნებოდა, მაგალი-თებრ, მცხეთობას მან წიგნები პირველად 1875 წ. წაიღო. ეს პირველი მაგალითი იყო. წიგნები ძრიელ ცოტა გაიყიდა, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც არ დააბრკოლა. შემდეგაც იქ წიგნებს ყოველთვის ატარებდა და მას გარდა სხვაგანაც მიჰქონდათ. დღეს ეს საქმე წინ არის წასული და იგი ყვე-ლასთვის ცხადიც გახლავთ. ამასთან ექვ. ხელაძე დროს შოულობდა და ხშირად წერილებსაც სწერდა გაზეთ „დროე-ბაში და „სასოფლო გაზეთში“.

სასტამბო საქმეების მართვით და მუშაკობით ისე წავიდა წინ, რომ ექ. ხელაძემ 1879 წ. შეიძინა მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა. სტამბის ასე მოწყობამ მას შესძინა დიდი საქმიანო-ბაც. ამის სტამბაში იქმნა მოკრებილი დასაბეჭდათ ყველა ქართული გამოცემანი, ერთი სიტყვით არ დარჩა რამე ქარ-თული გამოცემა, რომ იგი ხელაძის სტამბაში არ ყოფილი-ყოს დასტამბული. სტამბა საქმიანობით ხშირად ისე იყო და-ტვირთული, რომ მბეჭდავი მანქანა დღე და ღამე მუშაობდა. ბევრს ქართულს წიგნს მინიჭებია ამ სტამბის საშუალებით ნათელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ექ. ხელაძეს ქართული წიგნები ყოველთვის იაფად უბეჭდავს. 1875 წელს, ყველა საეკლესიო საბუთების ბლანკები და საეკლესიო ხუცური წიგნები რუსეთში იბეჭდებოდა და ექვთიმე ხელაძის მეცა-დინეობით და ფასს დაკლებით ტფილისში იქმნა გაღმოტანი-ლი, რომელიც დღესაც მისს სტამბაში იბეჭდება და რამდე-ნიმე პირი პურსა სჭამს. ამითი შესანიშნავია მისი ამაგი.

სასტამბო საქმეთ გარეშე ექ. ხელაძე სხვა-და-სხვა საზო-გადო საქმეებშიაც იღებდა და იღებს კიდევაც მონაწილეო-ბას, მაგალითებრ, 1890 წ. იგი ამორჩეულ იქმნა ქაშვეთის

წმ. გიორგის ეკკლესიის მნათედ. აქ ამას 10 წლის განმავლობაში ყოველთვის სიამოცნებით ირჩევდნენ. ამ ხნის განმავლობაში ერთგულ სამსახურისთვის მთავრობისაგანაც იქმნა დაჯილდოვებული სტანისლავა მესამე ხარისხის ორდენით.

1896 წ. მთავრობის განკარგულებით 8 თვით შეჩერებულ იქმნა ერთად-ერთი ქართული დღიური გაზეთი „ივერია“. ამ ამბავმა ბევრი ქართველი შეაწეხა, მთელი ერთ უგაზეთოდ დარჩა. ამ დროს კ. ი. 1896 წ. დამლევამდე ექ. ხელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა და დღიურ ქართულ გაზეთის გამოცემის „წყაროს“ ნება-რთვა სთხოვა, თვით გამომცემლათ იყო დანიშნული და რედაქტორად სხვა პირი ჰყანდა დასახელებული. ამ საქმისათვის იგი პეტერბურგშიაც წავიდა და მეცადინეობდა ნების აღებას, მაგრამ ეს ვერ მოუხდა და მალე ვ. გუნიას „ცნობის ფურცლის“ გამოცემის ნება-რთვა მოუვიდა, ამიტომ ექ. ხელაძემ თავის განძრახვას თავი დააწება, თორემ უამისოდ ექ. ხელაძე უსათუოდ დღიურ ქართულ გაზეთსაც გამოსცემდა.

წელს, 1902, 24 ივნისს, ამდენ საქმეთა შემდეგ, ბ. ექვთიმე ივანეს ძე ხელაძეს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი ქართული სტამბის ასპარეზზედ საკუთარის სტამბით იმოქმედა. როგორც ძველათ, ისევე დღეს ექ. ხელაძის სტამბა დატვირთულია სხვა-და-სხვა ქართულის გამოცემაებით და როგორც უწინ, ისევე დღეს ამ სტამბაში ბევრი ვრცელი ქართული წიგნი გამოსულა და უეპევლია კიდევაც გამოვა. ვალად ვრაცხთ დღეს აღვნიშნოთ ამ სტამბის 30 წლის არსებობა და ამ ხნის განმავლობაში მისგან სარგებლობის მოტანაც ქართველთ წინაშე.

ვინატრებთ სულით და გულით, რომ ამ სტამბას შემდეგ გაც ისევე შეესრულებინოს თავისი ვალი, როგორც ეს დღე დე იყო. ექ. ხელაძის სტამბის არსებობის მოგონებით ჩვენ ვიგორანებთ არა მარტო მის არსებობას და შრომას, არამერ კველა იმ პირთა და მუშაკთაც, რომელნიც ამ სტამბაში მო-

შაობდნენ და ქართულ საქმეებსაც პირნათლად ასრულებდნენ. ექ. ხელაძის სტამბის მოგონება და პატივისცემა ჩვენ უხადს საბუთს გვაქლევს ვიფიქროთ, რომ ქართველნი შეძლების და გვარად სასტამბო საქმეებს პატივით მოიხსენებენ და ვისაც კი ამის ასპარეზზედ ამაგდარათ ნახვენ, ყველა იმათ შრომას ჯეროვან პატივს აგებენ და აფასებენ.

ასოთ-ამომწყობლობაში აღმატებული შრომის მოყვარეობა ექვთიმე ხელაძეს „ცისკრის“, ოედაქციაში ყოფნის დროსვე შეეტყო. მუშაკობით ივ. კერესელიძე გახარებული იყო. ამ დროს, რედაქციაში მიბრძანდა აკაკი, ივ. კერესელიძემ აკაკის სიამოვნებით აუწყა, რომ ჩემ სტამბას ერთი გურული საოცარი ახალგაზლა ხელოსანი ამოძრავებსო და თან უჩვენა ექვთიმე, როგორც ამომწყობი, მართლაცა და ექვთიმე ხელაძე შესანიშნავი ხელოსანია. იცის კარგად ხუცური კითხვაც და ამომწყობაში მას ძნელით რომ რომელიმე მუშაკი ხელოსანი შეედაროს, მას მთელი ღამეობით შეძლებია მუშაკობა და სუფთათ საქმის კეთება. სულ ასეთი პირობები და გარემოება იყო, რომ მისი ნაშავირდალები ყველა თუ არა უმრავლესი ნაწილი მაინც დიდის შრომის მოყვარეობით არიან აღვისილნი. შრომის მოყვარეობის გარდა ყველა იგინი ექვთიმე ხელაძის სტამბაში ქართული მწიგნობრობის სიყვარულშიაც ხელოვნდებოლნენ, კითხვას ეჩვეოდნენ და სამერმისოდ ქართულ მწიგნობრობის მცოდნეთაც სჩნდებოლნენ.

როგორც თავშიაც ვსთქვით და ამას წინეთ ეს გაზეთ „ცნობის ფურცელშიაც“ გამოსთქვეს, ჩვენშიაც უკვე მოვიდა ისეთი დრო და გარემოება, როცა ჩვენც უნდა პატივით შევხდოთ ჩვენთ სასტამბო მუშაკთა და მათი შრომის თავაზი და თანაგრძნობაც საქვეყნოთ ვაღვიაროთ, რაღანაც ეს ვალია შესმენილის და შორს მხედველის ერის. ამიტომ გვენატენება სულით და გულით, რომ ექ. ივანეს ძის ხელაძის საქმეთა მიმბაძენი ჩვენში მრავლად გამოსულიყვნენ და ქართველთ შორისაც უფრო დიდის წარმატებით წინ წასულიყვნენ.

დღეს, ექ. ხელაძის სტამბა ქალაქ ტფრისის სტამბებთ  
შორის პირველ ხარისხის სტამბათა რიცხვში ითვლება. სანა-  
ტრელია და საქები, როცა ასეთ ხელოსან მუშაკთა შრომა  
ფასდება და მას შეძლების და გვარად ჯეროვან პატივსაც  
აგებენ. ეს პატივისცემა ექ. ხელაძის სტამბამ ერთად თვით  
ექ. ხელაძესთან დიდის აღსავსებით დაიმსახურა და ამიტომ  
დღეს ჩვენც მაღლობას და პატივისცემას ორივეს ვუძღვნით.

1902 წ. 24 ივნისი.



ექვთიმე ივ. ხელამის სცამბის 30 წლის იუბილეს გადახდა.

ამ 1902 წ. ივნისის 29-ს „ედემის“ ბაღში  
ვერაზე, გადახდილ იქმნა არა ჩვეულებრივი ნადიმი: იქ  
მოეუარა თავი ასამდე კაცს, ოომელნიც დღესასწაუ-  
ლობდნენ 30 წლის შესრულებას მას აქეთ, ოც  
ექვთიმე ივანეს ძემ ხელაძემ გამართა და აწარმოვებს  
ქართულს სტამბას, უზუცეს ეფელა ქართულ სტამბებს  
შორის!

30595  
გარემოება დიაღაც რომ სასიხარულო და სადღუ-  
სასწაულო იუო!

სტამბის სიმკვიდრე და წარმატება გონებითი მო-  
მრაობისა და მწერლობის წარმატების მომასწავებელია.

ამიტომაც იუო, რომ იუბილეს დღეს ექ. ივ. ხელაძეს მრავალი მოსალოცავი ღებებს და წერი-  
ლი მოუვიდა, რომელთაგან აქ ვძელდავთ რამდენსამე.



Հայոց Առաջնահամար մօշԴ ՕՅ միջնաւ  
թագավորական պատմա նրեաց միջնաւ իր միջնաւ ընտառ  
Պօզալեսու պահպան Տիֆլուս 25 օկտ 1902 տօդա

გუმბათი ბ. ექვთამე ივანეს ძეს ხელამეს თცდა-ათის  
წლის იუბილეს გამო.

„ოდეს ვიუავ ახალ-ბაზრდა  
და სიამით სტერდა ტუჭი“,  
გურიაშვილის მოველ  
შრომისთვის თავ-დადებული.  
ის დრო იყო ქართველთათვის  
საფალალო, სატირალი,  
მათში კეთილს ვერ ხედავდა  
შეგნებულის კაცის თვალი:  
შემეცრების ღმერთის მონებდა  
მაშინ საქართველოს შვილი  
და მასწინდა ნეტარებად  
ლოთობა და ტბილი მიღი...  
სამშობლის და მოქმედ ერის  
ადამ სწამდა განახლება  
და მეტი ბარგად მასწინდა შას  
წინ-სრბობლა და განათლება.  
მაგრამ თვისის სვერდის არ გასწირავ  
სელ-ალებით დათის-შუალები,  
საქართველოს ნებეშ-მცემი,  
მის პატიონი და მოარგელება:  
მის წეალიბით საქართველოს  
მოევლინენ მოციქულინი,  
შეებრძოლენ უშეცრებას,  
სინათლისთვის განწირულნი.

զուա մարտյա տցուսո შյալտ  
մեռս գաղանքաց համուս ծնյալս  
դա սրբալուս գաղթալույացն  
Նիսատակա Տաճարյալուս,  
օչյ մատիս մռմարյանին  
գահարա հիջեն յրո,  
Մյայցարա գահատային  
դա գահաձեծելույրուն.  
Մյայցարա մաս յանիշուն,  
Արա յրուս գյալս Շուկարալունին,  
Նյալս հայդամս, ռմյան աժայցէ,  
Մռանարյան Մյամյալունին.  
Երբազ օմատ: Հաճատալուս  
Տայցարյալու հիջեն մեարյ,  
Կարտայլու գյալն ըանըտալ  
տցուսո վեցալու դա Տամարյ!  
Մյու օմ ճռաս եյլու մազպաց  
Տրամինս Տայմուս Մյեմյալուս  
դա զոյոյրածուն տցուս մառալուն  
Տամինածուստցուս այս Մյալուսս!  
Մյամինայլու Տրամինս Տայմի  
Տասարցեծու, մաշրան ռտայլու:  
Ծյանս հաջոյլու դա կոմիս զումյանու  
օմուտցուս տազ-գաֆարյալու...  
ամ Տայմիս զյուրտաց պայլ  
ազյու ռուճա-ատա Պյալո.  
օւ առս հիմու ցյառուս Տարոնցու,  
օւ առս հիմու Տայցարյալո!!  
Շմյառաս զոյուցազ, մյ Նեցա Տայմի,  
զոնդ մեյրացէ, զյու Մյայցարյ;  
Մյեարյան, մուս Իօնամյ  
տցուա Տուռութալուս գայցարյալ!!

მრწაშს, მოვჭიჭდები იმ შეგნებით,  
რომ შრომასა გადმერებდი,  
გაურბოდი სისარმაცეს  
და სამშიდროს ემსახურებდი.  
მომავალში, მრწაშს, მაღლადით  
შობიგონებს მე ქართველი,  
თუმც არ ვიყავ ნუბლიცისტი,  
არც უგოსანი, ლექსითა მთხზველი! |

თლ. ფ—ქ.

# ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

The Gothic and Bruggean types.

## გულითად პატივცემულო ქქვიიშე!

დღევანდელს დღეს ცხადად წარმომიდგება თვალ-წინ ის დრო, როდესაც თქვენს სტამბაში იძექდებოდა, ჩემს ზედა-მხედველობის ქვეშ, ფრიად საგულისშიერო წიგნაკი დავით იაკ. ქართველიშვილისა — „საქართველო დავარდნილია“. ეს დრო იყო 1875 წლის დამდეგი და მაშინ ახლად ეწყობოდა თქვენი ჯერ ისევ ნორჩი სტამბა უინ არ იცის, რომ სტამ-ბაც ერთი დარგია წერა-კითხვისა და, საზოგადოდ, განათლე-ბის სწრაფუად მოსაფენად ერშო თქვენმა დაწესებულებამ ამ მხრივ ბევრი იჩრუნა, ბევრი დახმარება აღმოუჩინა ჩენს მწიგნობრობას. პირად თანასწობით, მოულალავ სიმწნეთ თი-თქმის არარაისაფან. შეჭრენილ დიდი და ნაყოფიერი დაწესე-ბულება. გულის სილრმით გილოცავთ 30 წლის თავს ამ და-წესებულებისას. ვისურვებ თქვენს დღეგრძელობას და ვინატრი საქართველოს გასჩენოდეს მრავალი თქვენისთანა თაოსანი კაცი: თუ მამულს თაოსანი კაცები საკმაოდ ჰყავს, გინდ დავარდნილი იყოს, მალე აყვავილდება. მაგალით, რომ თვით დღევანდელს იშვიათ მეჯლისში ვერ ვიღებ მონაწი-ლეობას სხვა-და-სხვა მიზეზების გამო.

თქვენი უერთგულესი მეგობარი შ. ჭანაშვილი.

1902 წ. ვე ივნ.

ქ. ტფილისი.

სულით და გულით გილოცავით აშისთანა ღირსეულს  
საუბილეო დღესასწაულს.

თქვენ, ბ-ნა ექვთიმე! ჩვენს ერზი, ტითქმის გურენ-  
პერგი ხართ, ყველა სხვა ქართული სტამბები მაგ საქმეში  
მხოლოდ თქვენი ჩამომავლობაა.

კარგად მესმის თქვენი ხანგრძლივი შრმოლა და გარი-  
ვება მაგ ძნელს საქმეში რაც დამთხვეოს წლის განმავლობაში და  
ამისათვის თქვენი მუდამ გულითადი თანამგრძნობი ვარ და  
ვიქმნები. იცოცხლეთ მრავალ-უამიერ! ნება გაქვთ, ბანო  
ექვთიმე, სთქვათ მუდამ, რომ თქვენ ჩვენს ძვირფასს სამშო-  
ბლო ქვეყანაში „სტამბა-ბეჭდუა“ საძირკვლიანად დაგიარსე-  
ბით.

დიდათ ვწუხვდო, რომ მაგისთან ღირსეულს თქვენს  
დღესასწაულში მონაწილეობა ვერ მივიღე, რადგან რამდენი-  
მე დღით თბილისიდგან გასული ვიყავი.

ყურადღებისათვის, დიდად და დიდად გმიღლობთ.

თქვენი მუდამ თანამგრძნობი უმორჩილესი დავადი  
კოსტანტინე ითრამის ქ სერხეულიქ.

1902 წ. 2 ივლისი.

დიდად პატივცემული პქვთამე იგანეს ძევ!

გაზეთებიდამ ამოვიკითხე, რომ თქვენ აპირებთ ოცდა-ათის წლის მოღვაწეობის დღესასწაულსა. ქართულმა სტამბის საქმემ რომ ოცდა-ათი წელი უხილათოდ იცხოვროს და კვალი დააჩინოს, მართლა, რომ საღლესასწაულოა. თქვენ პირად სული ჩაუდგით მაგ საქმეს, ბევრი მწუხარება, შეკირვება გამოიარეთ და ეკლიან გზაზედ ფეხ-შიშველი იარეთ, მავრამ საქმეს მაინც არ უღალატეთ. რამდენიმე თაობა ქართველი აღიზარდა შენს სტამბაში და შენის მოწყალებით დღეს ლუკმას სკუმენ. მე პირადად თქვენგან ღიღად დავალებული ვარ ერთის შემთხვევისაგამო, რომელიც არ შემიძლიან, რომ არ დავასახელო. კარგად მახსოვს, რომ მეც და სხვებიც შეეგირდობის დროს დავიარებოდით შენთან სტამბაში, როდესაც ჯერ ისევ გა წერეთლის (დუბილერის) სტამბაში იყავით. მაშინ „სასოფლო გაზეთის“ კორექტურას ვასწორებდნენ და ხანდისხან პატარ-პატარა წერილებსაც ვთარგმნიდა: იმ გაზეთისათვის, მახსოვს მე მოგიტანე 1872 წ. ერთი წერილი სათაფრით; „ძველ-ახალი ამშევრ“, გთხოვე „დროებაში“ დაგებუჭველინებინა არ დამავიწყდება ის წამი, როდესაც სერგეი მესხთან მიმიკანეთ და გამაცანით იგი. წერილი შენის თხოვნით დაიბეჭდა 1872 წ. № 41 თამ. გარემოებამ დიდი განვლენა აქვნია ჩემზედ და ნელ-ნელა შევუდექ მწერლობასა. იქნება, ასეთი გულმხურვალე მონაწილეობა რომ არ მიგელო ჩემს მდგომარეობაში, ავტენვიყავ სამწერლო ასპარეზსა.

დღეს მადლიერი ამ გარემოებითა ვისურვებ შენთვის და შენის სტამბისათვის უკეთეს წარშატებასა.

ოქვერი მოღვაწეობის პატივის-მცემელი ს. ზ. მგალობლიშვილი.

15 ივნისი 1902 წ.

დღეს შესრულდა 30 წელიწადი, რაც შენ დაარსე ქ. თბილისში საკუთარი სტამბა. ჰატივ-საცემლად ამა შენის სტამბის 30 წლის არსებობისა დღეს აქ შემოყრებულან მრავალნი ნაცნობი და ამხანაგნი შენი და სხვათა შორის მეც მოვედი ამ დღისთვის საქართველოს ერთი შორეული კუთხიდან (გურიიდან). გილოცავ მეც 30 წლის თქვენი სტამბის არსებობას და ამავე დროს განმავალობაში თქვენს დაუღალავ კეთილ-მოღვაწეობის დღესასწაულს.

კეთილშობილო ექვთიმევ! მე, როგორც მახლობელია  
შენი ნათესავი, მოწამე ვარ თქვენის წარსულის ცხოვრებისა,  
და ამისათვის მსურს აღვნეს ხო აქ; პატივცემულის საზოგა-  
დოების წინაშე, ყველა თუ არა, ის ზოგიერთი კეთილნი საქმე-  
ნი, რომელიც მიგიძლვის შენ. მე არ შევეხები საზოგადოორ ყვე-  
ლას, იმას რასაც დაწვრილებით იხსენიებს ბ. ზ. ჭიჭინაძე თავის  
წერილში, ის ყველა ჰეშმარიტებაა. მხოლოდ ფამბობ, რომ შე-  
ნის წინამდლოლობით აღიზარდნენ შენს-სტამბაში მრავალი გუ-  
რულ-იმერელნი ქართველნი, შენ იყავი მათი წინამდლვარი,  
მათი მასწავლებელი. შენის რჩევა — დარიგებით ისინი ასცილდნენ  
იმ უბრალო და გამოუდევარ ხელობას; რომელსაც ეტანე-  
ბიან გურულ-იმერლობა იქ ქალაქში. ყველაზ ვიცით, რომ  
ზოგიერთნი შენი გაზრდილები თვით განაგებენ საკუთარ  
სტამბებს საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში. არა-  
თუ მარტო შენი გაზრდილები, არამედ შენი გაზრდილის  
გაზრდილებიც კი უზრუნველ-ყოფილ არიან ცხოვრებაში.  
ყველა ამას მე მივაწერ თქვენს მამობრივ მზრუნველობას მათ-  
ზედ. რაც შეეხება ქართულ მწიგნობრობას, ეს ხომ შენით

გავრცელდა გურიაში. 1878 წ. პირველი მაგალითი იყო, რომ შენ თვითონ დაატარებდი გურიაში იარმუკაში გასასყიდათ ქართულს წიგნებს. იქიდან აქნობამდის იმდენად გავრცელდა გურიაში ქართული მწიგნობრობა, რომ დღეს თითქმის ყველა სოფელში არსებობს წიგნთსაცავ-სამკითხველო და ხშირად მჰამოვება თქვენგან შეწირული წიგნები. ჯანსაკუთრებით სოფ. მამათის სამკითხველო შენი შეწირულებით სულდგმულობს ჯერ-ჯერაბით, შემდეგ შეიცა, იმდედაც არ მოაკლებთ თქვენს ზრუნვას შენის სამშობლოის მამათის სამრევლო სკოლას და წიგნთსაცავს. შენ გსურდა შეგემოსნა და მაგელო მღვდლობა მამის ადგილი, ეს ბედმა. არ გარგუნა, რადგან შენ მოგიყვდა პირველი ცოლი. მაგრამ ასე სჯობდა, ვინაიდგან შენ ამ 30 წლის განმავლობაში მაგ მოღვაწეობით უფრო ნაყოფი მოუტანე შენს სამშობლოს. მასხსოვს, რომ შენის საშუალებით მამზადებდი სამღვდლოთ თბილისის სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნებში და დღეს გავხდი ღირსი მღვდლობისა, მამა თქვენის მოადგილეთ მამათის ეპკლესიაზედ. არც ეპკლესიას აკლია თქვენგან შემწეობა. რაც კი მოიპოვება მაში საეკლესიო სამკაული, ყველა ეს შენი შეწირულია, მაში გისურვებ იცოცხლოთ დიდხანს და თქვენისთანავები არ მოჰკლებოდეს ჩვენს ქვეყანას.

შენი მმისწული მღვდელი კად. ხელახტე.

ღინისის 29 1902 წ.

### ბ. ქქვეთიშე იგნას ძეგ!

თქვენი სტამბის 30 წლის არსებობა ქართულ წიგნების ბეჭედისათვის ხელის შეწყობის გარდა იმით არის კიდევ შესამჩნევი, რომ მაგ სტამბამ გაწროვნა და შრომის ასპარეზე გამოიყვანა ასზედ მეტი ასოთამწყობნი, თავისი ხელობით რომელნიც სპამენ დღეს ლუკმა პურულა ასაზრდოებენ ცოლშვილსა და ნათესაობას...

აი ეს არის მოსალოცი და გილოცავ კიდეც.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო გარემოებაც.

ამ ვნე წლის წინად თქვენ ჩამოდით ტფალისში, სადაც თქვენი ჰავისა და შრომის სურვილით გატაცებული გულის მეტი არა ჩამოგყოლიათ რა!

ვნე წლის განმავლობაში თქვენი გამრჯელობითა და მომჭირნეობით შეიძინეთ სტამბის ხელობის ცოდნა ზედმიწევნით, ჩინებული დიდი სტამპი, რაც ორმოცამდე მუშა კაცს აძლევს საზრდოს, და საკუთარი სახლი თფილისის საუკუთხესო ქუჩაზე...

თყილისში ამ ვნე წლის განმავლობაში ჩამოსულ ას ქართველის არმოცულათს რომ იმის მესამედი შეეძინა, რაც თქვენ შეიძინეთ — დღეს ქართველთ ბინადრობა ბევრად უფრო დიდზე იქნებოდა გაწეული სიგრძე სიგანით, ვიდრე დღეს არის და. ჩვენი ქონებაც სხვების ხელში ასე ფეხთა კრეფით არ გადვიდოდა...

მაშ კვლავაც გაგიმარჯოს ღმერთმა და ფაუმარჯოს აგრეთვე ქართველის გამრჯელობას და მომჭირნეობას, რომლის ცოცხალი მავალოთი დღეს შენა ხარ.

ილია ჭურნა.

## გამოცემის გვერდი

პატივცემულო და საყვარელო თანამემამულებ  
ბატონო ექვთიმე!

დღეს მომიტანეს გაზეთებშია ამბავი, რომ შესრულებულია  
30 წელი მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიხსნიათ ტფილისში  
თქვენი სტამბა.

ადამიანისა და დაწესებულების ცხოვრებაში 30 წელი  
მთელი ხანაა და, თუ ამოდენა დრო მიმდინარეობდა განუ-  
წყვეტილ სასარგებლო შრომაში, იგი თვალსაჩინო და სა-  
მაგალითო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სწორეთ ასეთი მო-  
ვლენაა თქვენი საქმე. ჩვენი მწერლობის განვითარებაში თქვე-  
ნა და თქვენმა სტამბამ ისტორიული როლი შეასრულეთ.  
რა თქმა უნდა, ხანგრძლივმა შრომამ თქვენც მოგაინიჭათ ის  
რავალსაჩინო სახელია რომელიც სამართლიანად დაიმსახურეთ.

თქვენი პატივისმცემული  
შართენ ადექსანდრეს ქა გოთუა.

2 ივლისი 1902 წ.

ქ. კავკავი.

## გურიადან.

სული წმიდა მოვიდეს თქვენზედა და  
ძალი შაღლისა გფარვიდეს თქვენ ყოველთა  
დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა.

დიდათ-პატივცემულო ბ.

უკუსმ - მრავალ მოგრძელებაში მეტად მეტად

პირველ ყოველისა მოვალ შორიდამ ახლოს და ქრისტეს  
იქნოს მიერ ლოცვა-კურთხევას მოგიძლენი, რომლისა თანა  
ვსთხოვ ყოველისა დამბადებელს ღმერთსა ჩვენს თქვენს ორ-  
სავ სოფლის მრჩობლ ცხოვრებასა, რომლისა ძალით ჰგიებდეთ  
მრავალ ჟამიერობით უძლეველად ყოველთა წინააღმდეგომთა  
მტერთა თქვენთადმი, ვითარცა ხართ ყოვლითურთ კმაყუ-  
ფილნი და ბედნიერნი, ას წილ უბედნიერესად ეგიებდეთ აწ და  
უკუნისამდე.

ასრე შორიდან გთლოცავთ იმ მიზნამდის მიღწევას, რო-  
მელიცა იდლესასწაულეთ და მეც გამიზიარეთ თქვენი სახითა-  
რულო იუბილე 30 წლის სახელოვანი თქვენის სტამბის  
დაარსებისა. მართალია, ვერ დაგესწარი, მაგრამ სამაგიეროდ,  
როგორც სულიერი მამა, ყოველს წირვა-ლოცვაში პატივის-  
ცემით მოვიხსენიებ უკვდავსა და ღარიბთ მოწყალე სახელსა  
თქვენსა.

დავშთები თქვენი მაღალ-კეთილშობილების მარად

ლოცვით მომხსენებელი მღვდელი

ანტონ გალაგრე.

6 ივნისი 1902 წელი.

1. ოზურგეთი.

## ქუთაისიდან.

ჭირფასო ძმაო და შეგობარო

ექვთიმე ივანეს ძევ!

მხურვალის გულით ოღვავლენ ველჩებას უფლისადმი, და  
ესთხოვ ზეციერს ლიდებას თქვენს გრძელს უამიერს სიცოც-  
ხლებს. მოგცეს ღმერთმა ძალა და ღონე, რომ თქვენს სტამბას  
ჩვეულებრივ განეგრძოს შრომა, და მეცადინეობა, და მომავ-  
ლის დროისათვის კვლავ გედღესასწაულებინოს მეორე 30  
წელიწადი, მიზეზი მოუსვლელობის და უპასუხობის იყო ისა,  
რომ 15 ივნისიდამ 31 ივლისამდე ქუთაისშიდ ვარ კურ-  
სებზედ. იმედი მაქვს მაპატივებ.

თქვენი მაღალკეთილშობილების მლოცველი

მღვ. დავით ღუმბაძე.

5 ივლისს.

დიდათ პატივცემულო

ექვთიმე ივანეს ძევ!

ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი 30 წლის თქვენი სტამ-  
ბის იუბილეს დღესასწაულს. ეს დღესასწაული განსაკუთრე-  
ბით ჩემი სასიხარულო დღე იყო. მაგ დღესასწაულს ღვთიურ  
„მანანასავით“ ვეგებებოდი, მაგრამ, როგორც სჩანს, კაცს  
ის აგცილდება, რასაც შესტრფი და შეპხარი და მეც ამცილ-

და ეს ჩემთვის სანატრელი შემთხვევა. ფანსაკუთრებით ჩვენ  
თქვენი აღზრდილნი, ზნეობითად ვალდებულნი ვიყავით გვე-  
დლესასწაულებია დიდის ამბოთ ეს დღე, მაგრამ როგორც  
ვიცი, არაფერი თანაგრძნობა არ მიგილია იმ პირთაგან, ვინც  
ვალდებულნი იყვნენ და ვინც თქვენის მეოხებით დღეს  
პურსა სჭამენ. ეს თითქმის ბუნების კანონი ყოფილა, რომ  
ისე შენი ნაამაგარი და გამოზრდილი ვერ დაგაფასებს, რო-  
გორც გარეშე მაყურებელი, მაგრამ კიდევ მადლობა ღმერთს,  
რომ სრულიად დაუფასებელი არ ჩება თქვენი ამაგი და სხ...

მე კი ჩემის მხრით სულით და გულით ვუერთდები  
თქვენს დღესასწაულს და ვისურვებ, რომ თქვენი ნაყოფიერი  
შრომა კიდევ ისე ჯანმრთელად და შეუბლალავად იყოს გა-  
გრძელებული, როგორც აქნობამდის.

1902 წ. 13 ივლის. თქვენი მარად ერთგული  
ქ. ქუთაისი. ა. შემახვევა. ისებ სედაძე.

1902 წ. 13 ივლის. თქვენი მარად ერთგული  
ქ. ქუთაისი. ა. შემახვევა. ისებ სედაძე.

1902 წ. 13 ივლის. თქვენი მარად ერთგული  
ქ. ქუთაისი. ა. შემახვევა. ისებ სედაძე!

მოგილოცავთ ოცდა ათის წლის თავს თქვენის სასტამბო  
შრომისას.

წიგნია კაცის გულითადი მეგობარი და მანუგეშებელი.  
წიგნია ფიქრთა აღმძვრელი და სწორ გზაზე დამყენებელი; ლხი-  
ნში დამატებობელი და ჭირში გამამხნევებელი. წიგნია მესაი-  
დუმლე აღმიანის გულისა და მისწრაფებისა. წიგნი გვაახლო-  
ვებს და გვასაუბრებს. მრავალთ საუკუნეთ წინად გარდა-  
ცვალებულს ჩვენს შეგთან და მასწავლებლებთან და  
გვიზიარებს მათ უკვდავს აზრებს. ხოლო ამ აზრთა და  
გრძნობათა გამავრცელებელნი, შეუმჩნეველნი სტამბისმუშაკნი,

მადლ-მოსილ შემქნელთა თანაბრად, ღირსნი არიან ყოვლის  
პატივის ცემისა და თანაგრძნობისა. იცოცხლეთ ხანგრძლივ,  
დაუღალავო მუშაკო ექვთიმე, მრვალ უამიერ.

შედეგი გთავა.

ტფილისი.

### ღიღად პატივცემულო

ექვთიმე ივანეს ქე!

შინაურმა გარემოებამ მაიძულა მოულოდნელად წავსუ-  
ლვიყავ ბორჯომს და ამიტომაც მოვაკლდი სიამოვნებას პირა-  
დად მომელოცა თქვენთვის, თქვენი 30 წლის იუბილე და  
დამელია თქვენი სადღეგრძელო.

გილოცავთ ამ თქვენს დღესასწაულს და ვისურვებ, რომ  
სრულის ჯანითა და ღონით გედღესასწაულოსთ აგრეთვე 50  
წლის იუბილეც.

თქვენი პატივისმცემელი

ჭ. შედეგებულიართვი.

შატივცემულო ექვთიმე!

გილოცავთ თქვენი სტამბის 30 წლის ქველს მოღვაწეო-  
ბას, ვისურვებ თქვენს კიდევ ღიღანს სიცოცხლეს ამ სასარ-  
გებლო საქმისათვის.

ვწუხვარ, რომ იუბილეზე ვერ ვესწრები:

დ. შ. დუმბაძე

ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ରିକାମ୍ବନ୍ଦର

ექვთიმე ივანესძე!

ოცდა ათი წელიწადი დიდი ხანა არის რაიმე ხელოვნების აღსასრულებლად კაცის ცხოვრებაში.

კაცი, რაც უნდა კმაყოფილი იყოს თავისი მუშაობით, რაც უნდა უზრუნველ იყოს მისი მდგომარეობა, მაინც მუშაობა ოცდა ათი წლის განმავლობაში თავს მოახერხებს, მოღალავს და ენერგიასაც შეუსუსტებს; მაგრამ შენ კი ეს ხანა მუშაობისა თუმცალა განვლე ეკლის გზითა, რაზედაც შეგხვდა ბევრი უსამოვნება, ბევრთაგან ხელის შეშლა, სიღარიბე, მაგრამ მხნეობა შენი და ენერგია არ შედრეკილა. მოვალეობას ასრულებდი მთავრობის და საზოგადოების წინაშე კეთილ სინიდისიანათ. გარდა ამისა ბევრი კეთილი საქმე დაგითხსია შენს ხანგრძლივ სტამბის სამსახურში. ნაყოფიც კეთილი თესლისა თვალ-წინ გვადგას: შენ მიერ აღრჩდილი ახალ გაზდობა თითქმის ყველგან და ყველა სტამბებში მუშაობენ და უზრუნველად თავს იკვებავენ. ამ გვარი შრომა და ლვაწლი შენი ოცდაათი წლის სტამბაში მუშაობისა, იმისი გამგეობა, პატრიონობა სინდისიანათ და გავრცელება დიდი განძია სასტამბო ისტორიისათვის, ამისათვის მოგილოცავ ამ საქებარ საღიღებელ შრომას და ვისურვებ ამავე შრომით და ენერგიით განგევრდის ნაკისრი საქმე მეორე იუბილელ ემდის.

ପ୍ରକାଶମୂଳ ଓପରାତା ଏକତ୍ରିତୀର୍ଥ ମନ୍ଦିରଙ୍କାଳି

## ଭୂର୍ବଳୀମତ୍ତ୍ଵ, କେନାର୍ଦ୍ଦ୍ର.

შატივცემულო

გქვთიშე ივანეს ძეგ!

გულითადის სიამოვნებით გალოცავთ თქვენს 30 წლის  
იუბილეს დღესასწაულს და ვსწუხვარ, რომ შემთხვევაში არ  
მომცა ნება დაგსწრობოდით და ერთად მესიამოვნა თქვენთან.  
30 წლის შრომა ამ გვარ საქმეში ადვილი არ არის, განსაკუთ-  
რებით იმ პირველ ხანებში, როდესაც ქართული ბეჭდვის საქ-  
მე არ იყო იგრე დაჯილდოვებული; თუმცა რამოდენიმე პი-  
რები ხელიდენ სტამბას, როგორც სასარგებლო საგანს მწერ-  
ლობის გასავრცელებლად და გახსნეს სტამბები, შაგრამ იძანა  
მალე დაანებეს თავი, რადგან ძლიერ მძიმე მოთხოვნილება  
ჰქონდა. და თქვენ კი თქვენის დაულალავი შრომით გაატარეთ  
30 წელი. ამოდენი წელი კაცის ცხოვრებაში დიდი რამ  
არის და ისიც დაუმატოთ, ეგეთი შრომა და დიდი ხარჯები;  
როგორათაც თხოულობს სტამბა, ღმერთმან მოგცეს დღე-  
გრძელობა და ამ წმიდა შრომაში გაგატარებინოს დანარჩენი  
დღეები თქვენის ცხოვრებისა.

პატივცემულო ექვთიმე ივანესძევ, მე ვიყავი 1880 წლიდამ  
ძლიერ დაახლოვებული პირი, როგორც თქვენთან, ეგრეთვე  
თქვენს სტამბასთან; მახსოვეს, რომ თქვენს სტამბასთან იყო  
თითქმის სკოლა, სადაც იზდებოდენ 10—15-მდის ყმაწვილე-  
ბი თქვენის მამობრივი მზრუნველობით და დღში ისინი არია  
ან საუკეთესო მშრომელი ყმაწვილი კაცები. ღმერთმან მოგ-  
ცეს ძალა და ღონე, რომ კიდევ დიღხანს ეგრე უმანკოთ ემ-  
სახუროთ ამ წმინდა საგანს, რომელიც გაგიტარებიათ ამ 30  
წლის განმავლობაში.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი და თანა ძმა  
ივანე ოტიასძე ქაჯაია.

27 ივნის, 1902 წ.

ქ. ჭუთარისი.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ

খসড়ত অম্বিপুরোভলীস দীক্ষানন্দে কৃষ্ণদেৱী।

ბატონი ექვთიმე ივანეს ძევ! თქვენის ფიზიკურამშის არსებობის დღესასწავლის, მეც დიდის სიამოვნებით ვეგებები, რადგანაც მე თქვენის საშუალებით გამეხსნა ცხოვრების გზა და კვალი. თქვენის საშუალებით ვნახე თფილისი, თქვენ ჩამომიყვანეთ გურიიდამ და სტამბაში მიმიღეთ მოწაფეთ.

ვინ იცის? თქვენ რომ არ ბრძანებულიყავიდ და თქვენი დახმარება არ მქონოდა უამჩსოდ მე სად ჩავარდნილვიყავი, რა ხალხსა და წრეში და მასთან ვინ იცის რა მესწავლა და რა შემე-თვისა. შესაძლებელი იქნებოდა, რომ თქვენგან ეს ჩემი მფარვე-ლობა ასე არ მომხდარიყოს, უამისოდ მე ისეთ გარემოებაში ჩა-ვარდნილვიყავ, რომ მით მეც სამუდამოთ გავფუჭებულ-ვიყავ, ცუდ-კაცად გამოისულ ვიყავ. მაღლობას ღმერთს, რომ მე ამ გარემოებას თქვენის წყალობით აუსციდო.

ამიტომ მოგმართავთ და სრულის თანაგრძნობით გიცხა-  
დებთ ჩემს პატივისცემას და თანაგრძნობას, რათა კვალად  
დიღხანს იცოცხლოთ და იმუშავოთ სტამბის ასპარეზზედ. ღმერ-  
თმა გაცოცხლოთ და კარგათ ბრძანდებოდეთ.

1902 5.

## ଶବ୍ଦଗୀତ ମହାପାଠ

## კოვლად პატივცემულო.

ექვთიმე ივანეს ძეგლ. ღმრთავობა

1. *Abhijñatādī gñōñītēh nāmādāvā*

ამ წლის ივნისის 24-ს შესრულებულა თქვენი სტამბის არსებობის 30 წელიწადი. ეს ამბავი სასიამოვნოა განსაკუთრებით ჩვენის კუთხის—გურიისათვის, რაღაც თქვენ ამ

კუთხის ამაგლარი შეიღო ხართ. და ბევრი აქაური ყმაწვილა  
კაცობა სჭამს დღეს ლუკმა-პურს თქვენისა და თქვენის სტამ-  
ბის შეონებით.

ძალიან მინდოდა დაგსწრებოდი თქვენს იუბილეს, მაგ-  
რამ ავადმყოფობამ ხელი შემიშალა.

თქვენი ზურაბ ლლონტი.

მისს მაღალ-კეთილშობილებას და დიდად პატივცემულს  
ბატონს ექვთიმე ღვანეს ქეს!

პირველად ვისურვებ თქვენს სისოცხლეს და მუდამ  
ეჭამს კეთილად ბრძანებულიყოთ, ყოველივე თქვენი კეთილის  
ნდომითა.

გარდა ამისა მოგილოცავთ ოცდა-ათი წლის შესრულე-  
ბას თქვენის სტამბის არსებობისას.

მრავალუამიერ იყოს თქვენი სიცოცხლე.

დავშეები თქვენი მორჩილი

ტერჯენტი სვიმჭნის ქედნელია.

1902 წ. 4 ივნისი.

ქ. ყარსი.

ბატონთ ექვთიმე!

გილოცავ თქვენი სტამბის ოცდა-ათი წლის კეთილად  
მოლვაწეობას

მდაბალი მაქსიმე ჩიქოქიძე!

22 ივნისი.

## დეპეშები.

თქვენთ კეთილშობილებაზ,  
ექვთიმე იგანეს ძევ!

მოგილოცავ 30 წლის სტამბის დაარსებას ტფილისს.  
ალექსანდრე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი.

28 ივნისსა, 1902 წელსა.

ქ. ფოთი.

### დეპეშენტიდან.

გილოცავ იუბილეს. ვისურვებ მომავალშიაც ასეთის  
წარჩინებით წაგეყვანოს საქმე. ვწუხვარ, რომ ნადიმზე ვერ  
გესწრებით.

ნიკო ნიკოლაძე.

### ქუთამსიდან.

გულითადი მოხარული ვარ, რომ ასე წარჩინებით მიღის  
თქვენი საქმე, საქმე ქართულის ბეჭდვისა. ვწუხვარ რომ ამ  
უამაღ არ შემიძლია თქვენს შორის ყოფნა.

მეგელი.

### აზურბეთიდან.

ეს. არცა; გავიგე, რომ თქვენი იუბილეა. სულითა და გუ-  
ლით გილოცავ.

ანტონ დუმბაძე.

სურამიდან.

ახლა-ხან მივიღე თქვენს იუბილეზე დაპატიჟების ბარათი. ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი დღესასწაულს თქვენისთანა იშვიათის მუშაკისას, რომელმაც არა-რისაგან ვანითქვა უმ-წიკვლო სახელი და მოიპოვა ჩინებული მდგომარეობა. იყო-ცხლეთ მრავალ უამიერ კიდევ ბევრისა და ბევრის სამაგალი-თოდა.

ପ୍ରକାଶକ.

ମନ୍ଦିର ଖକ୍ଷମିଳାନ୍. । ॥ ୧୯ ॥

მოგილოცავი იუბილეს უხუცესის ქართულის სტამბისას, და ვისურვებ თქვენთვისა და ქართული ბეჭდვის. საქმისათვის ლეგენდელობას.

განცილება დამპარაზე.

სუმბათოვლიძე.

გილოცავ 30 წლის შესრულების დღიდან თქვენის სტამ-  
ბის გახსნისას.

Digitized by srujanika@gmail.com

ପ୍ରକାଶକଳା

შეს სულითა და გულით გილოცავ ჟანებილებ დღესასწაულს  
დაუღალავს მუშაკს სტამბისას.

ଦ୍ୱାରା

გულითადად გილოცავთ თქვენი სტამბის 30 წლის იუ-  
ბილეა, ვისურვებთ თქვენთვის წარმატებას მომავალშიაც.

କେଣିବୁନ୍ଦୀରେ ଓ ଦାନ୍ତିକ୍ଷେ.

მქონეობა ივანესქე ხელაძის სიტუაცია.

## ბატონებთ!

უღრმესი სულით და გულით მაღლობას მოგახსენებთ, ვინც დღეს პატივი მეციო და მობრძანდით, აგრეთვე იმათაც დიდს მაღლობას ვუძლენი, ვინც დეპეშით და წერილებით მომილოცეს, ამასთანავე არ შემიძლია დისი პატივისცემით არ მოვიხსენიო: დიდათ პატივცემული ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ივანე მაჩა-ბელი, რომელნიც დიდს შემწეობას მაძლევდენ და ზოგი მათგანი დღესაც მაძლევს სიტყვითთუ საქმით. ამათი შემწეობით სულდგმულობს დღეს ჩემი სტამბა; ღმერთმა ამათში ცოცხ-ლებს დღეგრძელობა მიანიჭოს და გარდაცვალებულთ სასუ-ფეველი დაუმკვიდროს.

რაც შეეხება ბ.ბ. ანდრია ლულაძის და ივანე მჭედლი-შვილის ჩემდამო მომართულ სიტყვას ასოთ-ამწყობი კასის დარსების და მეთაურათ დადგომის თავობაზე, ამას მე ძლიერ თანავურებნობ.

ეს საქმე ვვონებ ნაკისრი აქვთ სხვებს და, თუ მოვე-სწარი იმის განხორციელებას, ჩემს წვლილს მას არ მოვაკლებ. ეხლა კი ჩემი სტამბის 30 წლის არსებობის სახსოვრად ვკი-სრულობ სრული ჩემი ხარჯით დავბეჭდო ერთი ქართული წიგნი და მისი შემოსავალი მოხმარდეს იმ მომავალ კასას; მხოლოდ ვსოდე ბ.ბ. ილია ფერაძეს, ანდრია ლულაძეს და სოფრონ მგალობლიშვილს, ამოარჩიონ დასაბეჭდათ ერთი სასარგებლო ქართული წიგნი.

002

₹ 551

ଓ ৩১৬০ 10 ট.